ხელშეკრულება № 13
სახელმწიფო შესყიდვაზე გამარტივებული საშუალებით
საკუთარი შემოსავლების ფარგლებში

ქ. თბილისი 12 იანვარი 2017 **წელი**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ **სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია"** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ირაკლი გულედანი სახით და მეორე მხრივ **შპს „სი-ტი პარკ"-ი** (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ს' ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე, ურთიერთშეთანხმებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ხუთი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის პარკირების სისტემაში გააქტიურება დანართი №1-ის შესაბამისად (დანართი №1 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) (CPV98300000; CPV98351000).

2. შესასყიდი მომსახურების რაოდენობა და ფასი

2.1 პარკირების მომსახურების შესყიდვა ხორციელდება ექვს ავტომანქანაზე.
2.2 ერთი ავტომანქანის წლიური პარკირების საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.
2.3 ხელშეკრულების საერთო თანხა შეადგენს 300 (სამასი) ლარს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. ავტომანქანების პარკირების სისტემაში გააქტიურება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) დღის განმავლობაში.
3.2. მომსახურება ქ. თბილისის მასშტაბით განხორციელდება პარკირების სისტემაში გააქტიურებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია (საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, საქართველოს ეროვნული ვალუტით, მხარეთა შორის შეთანხმებული ფასების შესაბამისად „მიმწოდებლის" მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.
4.2. ანგარიშსწორება განორციელდება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) საბანკო დღისა.

5. ცვლილებები

5.1 ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის". ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად.
5.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას საყოველთაოდ აღიარებული ფორს-მაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.
6.2. ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის სამეურნეო განყოფილების უფროსი იოსებ ჩორგოლაშვილი.

8. მხარეთა უფლება – მოვალეობანი

8.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებზე.

8.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად (ერთი – „შემსყიდველს", ერთი – „მიმწოდებელს").

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით – ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 01 თებერვლამდე.

11. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია"

ს/კ: 205162802
მისამართი: ქ. თბილისი, გოძიაშვილის ქ. №49
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707527102

ირაკლი გულედანი
დირექტორი

„მიმწოდებელი"

შპს „სი-ტი პარკ"

ს/კ: 204543770
მისამართი: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. №47
ტელ: 2555123
მიმღების ბანკი: სს „ბანკი რესპუბლიკა"
ბანკის კოდი: REPLGE22
ანგარიშის №GE90BR00000 106 086 189 45

ბენიამინ ლიჭაევა
გენერალური მენეჯერი

დანართი №1

პარკინგის სისტემაში ჩასართველი ავტომანქანების ცხრილი

№	ავტომანქანის მარკა/მოდელი	ავტომანქანის სარეგისტრაციო ნომერი	პარკირების ღირებულება (ლარი)
1	FOTON TUNLAND	NK636NK	50.00
2	Suzuki S Cross GL + 1.6 4 WD	LG956GL	50.00
3	Suzuki S Cross GL + 1.6 4 WD	LG957GL	50.00
4	ჰუნდაი ტერაკანი KMHNM81XP6U193551	XOX 092	50.00
5	ჰუნდაი ტერაკანი KMHNM81XP6U190293	IQI 768	50.00
6	ჰუნდაი ტერაკანი KMHNM81XP6U190293	QUT 044	50.00
	სულ		300.00

„შემსყიდველი"

სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია"

ირაკლი გულედანი
დირექტორი

„მიმწოდებელი"

შპს „ს.ტ.ბ.ტ.ი პარკ"

ბენიამინ ლაჰავა
გენერალური მენეჯერი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არასებობის შესახებ

12 იანვარი 2017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერი პირები ვადასტურებთ, რომ შერჩევისა და ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების პროცედურებში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და **შპს „სი-ტი პარკ"**-ის მიმართ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის
სამინისტროს ლაბორატორიის
დირექტორი: ირაკლი გულედანი

სამეურნეო განყოფილების
უფროსი: იოსებ ჩორგოლაშვილი

შესყიდვების განყოფილების უფროსი: დიმიტრი მირველაშვილი